„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ____________ ს. ჩვეტაძე

“__08__“ ____________11____________2023 წ.

საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატი ელვისებურ ჭადრაკში
"ნინო გურიელი თასი-2023"
5 - 7 დეკემბერი 2023 წ.
ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 29

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ტურნირები:
2.1. ღია ტურნირი;
2.2. ქალთა ტურნირი;
2.3. შოუ მატჩი.

3. ღონისძიების მართვა:
განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. სათამაშო წესები:
4.1. დროის კონტროლი: 3 წუთი პარტიის ბოლომდე, 2 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.
4.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 13 ტურად.
4.3. დაითვლება ფიდეს რეიტინგი ელვისებურ ჭადრაკში.

5. ტურნირში მონაწილეობა და რეგისტრაცია:
5.1. ღია და ქალთა ტურნირში დაიშვება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ყველა მსურველი.
5.2. შოუ მატჩში მონაწილეობას მიიღებენ ორგანიზატორის მიერ მოწვეული სახელოვანი ქართველი მოჭადრაკეები.
5.3.მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/zi5CLwTqKzmDqQgD7 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 4 დეკემბერი 18:00 საათი.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
5.4. თითოეული მონაწილის საწევრო შესატანია 30 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით). საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701. ბანკის კოდი BAGAGE22
5.5. სატურნირო შესატანისგან განთავისუფლებულნი არიან მოჭადრაკეები ფიდეს შემდეგი წოდებებით: GM, IM, FM, WGM, WIM, WFM.
5.6. მონაწილეთა ცხოვრების, კვების, გზის და სატურნირო შესატანის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

6. ტურნირების განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	5 დეკემბერი	
გახსნა / მისალმება	6 დეკემბერი	14:45
I - VII ტური	6 დეკემბერი	15:00
VIII - XIII ტური	7 დეკემბერი	15:00
დახურვა	7 დეკემბერი	17:30

7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

7.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ურთიერთშორის შეხვედრა;

ბ) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

გ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;

ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

7.2. ღია და ქალთა ტურნირებში I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან ნინო გურიელის სახელობის თასით, მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით;
II - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით;

8. საპრიზო ფონდი:

8.1. ღია და ქალთა ტურნირების ფულადი პრიზი - 6000 ლარი:

ტურნირი	1	2	3	4	5
ღია ტურნირი	1200	800	500	300	200
ქალთა ტურნირი	1200	800	500	300	200

8.2. შოუ მატჩის ფულადი პრიზი - 2500 ლარი: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი.

8.3. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;

8.4. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.

8.5. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

9. საერთო წესები:

9.1. ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი